

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი



სახელმწიფო სამეცნიერო ბრანტების კონკურსი 2007

სახელმძღვანელო ცნობარი

თბილისი

2007

სარჩევი

| | | |
|------------|---|----------|
| I | ცნობარში გამოყენებული ტერმინები | 3 |
| II | კონკურსის პრობლემა და პირობები. | 5 |
| | 1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები (სსგ) და მისი მიზანი | 5 |
| | 2. ორგანიზაცია და მართვა | 5 |
| | 3. სსგ-ს პროგრამული და ფინანსური მოთხოვნები | 5 |
| | 4. საგრანტო კონკურსის ეტაპები და პირობები | 6 |
| | 5. ელექტრონული რეგისტრაციის პირობები | 6 |
| | 6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში | 7 |
| | 7. პროექტების შეფასება | 7 |
| | 8. საგრანტო ხელშეკრულების პირობები | 7 |
| | 9. ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება | 8 |
| III | საკონკურსოდ წარმოსადგენი ფორმების შევსების ინსტრუქცია . . | 9 |
| | დანართები | |
| | 1. თავფურცელი - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე | 13 |
| | 2. კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ | 14 |
| | 3. პროექტი | 17 |
| | 4. პროექტის რეზიუმე. | 23 |
| | 5. სამეცნიერო მიმართულებები/ქვემიმართულებების კოდები. | 24 |
| | 6. სამეცნიერო კვლევის კატეგორიები. | 31 |
| | 7. პროექტის შეფასების კრიტერიუმები | 32 |
| | 8. საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. | 33 |

I. ცნობარში გამოყენებული ტერმინები

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საკონსურსო გრანტების სისტემის გაძღოლის მიზნით შექმნილი ორგანო, რომელიც ახორციელებს კონკურსის ადმინისტრირებას და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასების საფუძველზე ავლენს დასაფინანსებელ პროექტებს;

სამეცნიერო საბჭო – ორგანო, რომელიც ამტკიცებს ფონდის მიერ დასაფინანსებლად გამოვლენილ პროექტებს;

პროექტი – საკონსურსო გრანტების სისტემის ფარგლებში კონკურსის საფუძველზე გრანტით დასაფინანსებელი/დაფინანსებული განაცხადი;

პროექტის მენეჯერი – საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი ფიზიკური პირი, წამყვანი ორგანიზაციის მუდმივი, ან დროებითი თანამშრომელი და საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან მთავარი საკონტაქტო პირი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მას ეკისრება პროექტის განხორციელებასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. პროექტის მენეჯერი ერთდროულად შეიძლება იყოს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც;

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს და პასუხს აგებს პროექტით გათვალისწინებულ სამეცნიერო საქმიანობასა და სამეცნიერო შედეგებზე. სამეცნიერო ხელმძღვანელი ერთდროულად შეიძლება იყოს პროექტის მენეჯერიც;

წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არამომგებიანი) იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს გრანტის მიმღებს. იგი შრომით ურთიერთობას ამყარებს გრანტის შემსრულებლებთან (ძირითად და დამხმარე პერსონალთან), განკარგავს გრანტის ხარჯთაღრიცხვით მისთვის გათვალისწინებულ სახსრებს (შრომის ანაზღაურებისა და მივლინების სახსრებს მთლიანად, ხოლო სხვა საქონელი და მომსახურების, კაპიტალური ხარჯის, ზედნაღები ხარჯის ნაწილს). წამყვანი ორგანიზაცია წარმოადგენს პროექტს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ურთიერთობაში;

თანამონაწილე ორგანიზაცია – საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არამომგებიანი) იურიდიული პირი, რომელიც წამყვან ორგანიზაციასთან ერთად წარმოადგენს გრანტის მიმღებს. იგი მონაწილეობს პროექტის განხორციელებაში მის ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ძირითადი საშუალებებით, განკარგავს გრანტის ხარჯთაღრიცხვით მისთვის გათვალისწინებულ სახსრებს (სხვა საქონელი და მომსახურების, კაპიტალური ხარჯის, ზედნაღების ხარჯის ნაწილს);

გრანტის მიმღები – კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტის წარმომდგენი საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არამომგებიანი) იურიდიული პირი და მათში მონაწილე/ჩამოყალიბებული მეცნიერთა ჯგუფები;

საგრანტო ანგარიში – საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული წამყვანი ორგანიზაციის მიერ გრანტისთვის გახსნილი მიზნობრივი საგრანტო ანგარიში, რომელზეც მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

საკონსურსო გრანტების სისტემა – საკონსურსოდ წარმოდგენილი პროექტების მიღების, ექსპერტიზის, შერჩევის, დამტკიცების, განხორციელების, ანგარიშგებისა და მონიტორინგის ურთიერთშეკავშირებული ელემენტების ერთობლიობა;

ტრანში – პროექტის კვარტალური ამოცანების შესასრულებლად გრანტის ხარჯთაღრიცხვით გამოყოფილი ასიგნება;

კვარტალი – პროექტის განხორციელების კალენდარული წლის სამთვიანი ქვეპერიოდი;

პროექტის საკონსურსო დოკუმენტაცია – წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის პროექტში მონაწილეობაზე წერილობითი თანხმობის, პროექტის შესახებ კრებსითი ინფორმაციის, პროექტის და პროექტის რეზიუმეს ერთობლიობა;

ტექნიკური ანგარიში – პროექტის მიმდინარეობის შესახებ წარმოსადგენი ყოველკვარტალური პროგრამული და ფინანსური ანგარიშების ამსახველი დოკუმენტი;

დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში – პროექტის დასრულების შემდეგ წარმოსადგენი სამეცნიერო შედეგების ამსახველი დოკუმენტი;

ძირითადი პერსონალი – პროექტის მენეჯერი/სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერ-თანამშრომლები, დოქტორანტები, მაგისტრანტები და სხვა;

დამხმარე პერსონალი – ლაბორანტები და სხვა ტექნიკური-მომსახურე პერსონალი;

სადემონსტრაციო დღე – სამუშაო შეხვედრა, სემინარი, ან სხვა სახის ოფიციალურად გამოცხადებული თავყრილობა, სადაც გრანტის მფლობელები თავიანთ სამეცნიერო შედეგებს გააცნობენ კოლეგებს, ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წევრებს.

II. კონკურსის პროგრამა და პირობები

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები (სსგ) და მისი მიზანი

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (სსგკ) წარმოადგენს მეცნიერების რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.
2. სსგ-ის მიზანია, ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, გამოავლინოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.
3. წინამდებარე სახელმძღვანელო ცნობარი შედგენილია ორ, ქართულსა და ინგლისურ ენებზე და აყალიბებს სსგ-ის პირობებსა და სამუშაო პროცედურებს.

2. ორგანიზაცია და მართვა

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში ეროვნული სამეცნიერო ფონდი).
2. ეროვნული სამეცნიერო ფონდი უზრუნველყოფს სსგ-ის საერთო მართვას, მათ შორის:
 - ა) საკონკურსო პირობების შემუშავებასა და კონკურსის გამოცხადებას;
 - ბ) პროექტის მომზადებისა და საკონკურსო პირობების გაცნობის მიზნით საკონსულტაციო სემინარების ჩატარებას;
 - გ) პროექტის შეფასებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას;
 - დ) ექსპერტებისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით, პროექტების გამოვლენას დასაფინანსებლად და მათ წარდგენას ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოსათვის (შემდგომში – სამეცნიერო საბჭო) დასამტკიცებლად.
3. სამეცნიერო საბჭო ამტკიცებს დასაფინანსებლად გამოვლენილ პროექტებს. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება.
4. სამეცნიერო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის მონაწილე. სამეცნიერო საბჭოს წევრმა წერილობით უნდა აცნობოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მისი კონკურსში მონაწილეობის შესახებ, შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭოს წევრი არის პროექტის მონაწილე, იგი მონაწილეობას არ ღებულობს შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით წარმოდგენილი დასაფინანსებლად გამოვლენილი პროექტების დამტკიცების პროცესში.

3. სსგ-ის პროგრამული და ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოსადგენი პროექტების მინიმალური ხანგრძლივობაა – 6 თვე, ხოლო მაქსიმალური – 36 თვე. პროექტების ხანგრძლივობა უნდა იყოს კვარტლის ჯერადი – 6, 9, 12, 15, 18 და ასე შემდეგ 36 თვე. გრანტის მოცულობა 6 თვიანი პროექტებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს, 9 თვიანი პროექტებისათვის 37 500 ლარს, 12 თვიანი პროექტებისათვის 50 000 ლარს და ასე შემდეგ. პროექტების განხორციელების პერიოდის შიგნით კვარტალური ბიუჯეტების მოცულობები არ არის სავალდებულო იყოს თანაბარი, ისინი უნდა დაიგეგმოს პროექტის განხორციელების საჭიროებისამებრ. ნებისმიერ შემთხვევაში წლიური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.
2. პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან 10% განკუთვნილია ხარჯვის კატეგორიისათვის: სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები (ზედნაღები ხარჯები), რომელიც ერიცხება წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს გრანტის ხარჯთაღრიცხვის თანახმად. შესაბამისად, ზედნაღები ხარჯების გამოკლებით, პროექტის განხორციელებაზე უნდა დაიხარჯოს პროექტის საერთო ბიუჯეტის 90%.
3. მინიჭებულ გრანტს პროექტის ავტორები მიიღებენ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. გადარიცხვა წარმოებს გრანტის მიმღები ორგანიზაციის (წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის) საბანკო ანგარიშებზე. თითოეული ტრანშის ოდენობა მითითებული უნდა იყოს საკონკურსო პროექტის ბიუჯეტში. პროექტის ავტორების მიერ ტრანშების ოდენობა იგეგმება განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით. თითოეული ტრანშის ხანგრძლივობა 3 თვეა. პირველი ტრანში, ავანსის სახით, გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ყოველი მომდევნო ტრანში - წინა ტრანშით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შესახებ ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმოდგენილი ტექნიკური (პროგრამული და ფინანსური) ანგარიშების განხილვის საფუძველზე. ბოლო ტრანშის სახელფასო ნაწილი გაიცემა პროექტის საბოლოო ანგარიშების შემდგომ.
4. ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ყოველკვარტალურად წარედგინება პროექტის განხორციელების ტექნიკური ანგარიში, რომელიც შედგება ორი - პროგრამული და ფინანსური ნაწილისაგან. პროექტის დასრულების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში, ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში. ამის შემდეგ, ფონდი ანხორციელებს ბოლო ტრანშის სახელფასო ნაწილის გადარიცხვას გრანტის მიმღებისათვის. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებისა და ბოლო ტრანშის სახელფასო ნაწილის გადარიცხვის შემდეგ დაიწყება პროექტის დახურვის პროცედურა.

5. პროექტის განხორციელების პერიოდში პროექტის ავტორებმა სასურველია წელიწადში ერთხელ მაინც (მათ შორის 6 თვიანი პროექტებისათვისაც) ჩაატარონ სადემონსტრაციო დღე.
6. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შექმნილი ქონება რჩება წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციებს (წამყვანი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ქონება წამყვან ორგანიზაციას, ხოლო თანამონაწილის მიერ შექმნილი – თანამონაწილე ორგანიზაციას). იმ შემთხვევაში, თუ გრანტით დაფინანსებული პროექტის განხორციელებისას, გრანტის მიმღებმა მხარემ დაარღვია საგრანტო ხელშეკრულების პირობები, ან არასაპატიო მიზეზების გამო ვერ შეასრულა დასახული ამოცანები, ეროვნული სამეცნიერო ფონდი აყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს და იტოვებს უფლებას უკან გამოითხოვოს გრანტის სახსრებით შექმნილი ქონება მისი რეალიზებისა და ამონაგები თანხის საგრანტო ფონდში დაბრუნების მიზნით.

4. საგრანტო კონკურსის ეტაპები და პირობები

1. საგრანტო კონკურსის ძირითადი ეტაპებია:
 - ა) პროექტების მომზადება და ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენა;
 - ბ) პროექტების შეფასება ფონდის მიერ დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;
 - გ) დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შერჩეული პროექტების ფონდის სამეცნიერო საბჭოში წარდგენა;
 - დ) ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ დასაფინანსებლად წარდგენილი პროექტების დამტკიცება;
 - ე) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ხელმძღვანელებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.
2. გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არამომგებიან) იურიდიულ პირებში ჩამოყალიბებულ მეცნიერთა ჯგუფებს. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობას იღებს რამდენიმე ორგანიზაცია, ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს წამყვან, ხოლო დანარჩენი - თანამონაწილე ორგანიზაციებს.
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქე მხოლოდ რეზიდენტ ფიზიკურ პირს. ***სამეცნიერო ხელმძღვანელი და პროექტის მენეჯერი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი ფიზიკური პირი.***
4. პროექტს უნდა ყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი. მენეჯერი და სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყვნენ წამყვანი ორგანიზაციის მუდმივი ან დროებითი თანამშრომლები. შესაძლოა მენეჯერი და სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს ერთიდაიგივე პიროვნება.
5. პროექტის ძირითად შემსრულებლებს (მენეჯერისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩათვლით) არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ორზე მეტ საკონკურსო პროექტში, ხოლო მაგისტრანტებს და დოქტორანტებს – ერთზე მეტ საკონკურსო პროექტში. პროექტის ძირითადი შემსრულებლები არ შეიძლება იყვნენ ბაკალავრიატის სტუდენტები.
6. იმ შემთხვევაში, თუ პროექტში მონაწილე ძირითადი შემსრულებელი მონაწილეობს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით 2006 წელს დაფინანსებულ ***ერთ პროექტში*** და პროექტი არ სრულდება 2007 წლის 31 დეკემბრისათვის, მას უფლება აქვს მონაწილეობდეს საკონკურსოდ წარდგენილ მხოლოდ ერთ პროექტში. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი შემსრულებელი უკვე მონაწილეობს დაფინანსებულ ***ორ პროექტში***, რომელიც არ სრულდება ზემოაღნიშნული პერიოდისათვის, მას არა აქვს კონკურსში მონაწილეობის უფლება. იმ მეცნიერებს, ***ვინც არ მონაწილეობს*** 2006 წლის კონკურსით დაფინანსებულ პროექტებში და/ან მათი პროექტი დასრულებული იქნება 2007 წლის 31 დეკემბრისთვის, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ არაუმეტეს 2 პროექტში.
7. 2006 წლის კონკურსში მონაწილე დაუფინანსებელი პროექტების წარდგენა ახალ კონკურსში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიიღეს 40 ქულაზე მეტი შეფასება.
8. ***სახელმძღვანელო ცნობარის პარაგრაფი 3 (პუნქტი 1, 2) და ამ პარაგრაფის (პუნქტები 2, 3, 4, 5, 6, 7) პირობების დაუცველობის და მათი კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე აღმოჩენის შემთხვევაში პროექტები მოხსნილი იქნებიან შემდგომი განხილვისაგან/დაფინანსებისაგან.***

5. ელექტრონული რეგისტრაციის პირობები

1. 2007 წლის საგრანტო კონკურსში რეგისტრაცია შესაძლებელია დისტანციურ (on-line) რეჟიმშიც.
2. დისტანციური რეგისტრაციის შემთხვევაში პროექტის ავტორებს საშუალება ექნებათ ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოუსვლელად გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია საკონკურსოდ და ამასთანავე გამარტივებული წესით გაიარონ რეგისტრაცია ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენისას.
3. დისტანციურ რეჟიმში რეგისტრაციისას ივსება შესაბამისი ფორმა ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე (www.gnsf.ge). იქვეა განთავსებული შევსების ინსტრუქციაც.
4. წინასწარი დისტანციური რეგისტრაციის შემდეგ განაცხადების მიღების ბოლო ვადის ამოწურვამდე, პროექტის ავტორებმა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობა არ იქნება შესრულებული, პროექტები საკონკურსოდ არ განიხილება.

5. წინასწარი დისტანციური რეგისტრაციისას შეყვანილი ინფორმაციის, ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიების იდენტირობაზე პასუხისმგებელია პროექტის წარმომდგენი. მათ შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ეროვნულ სამეცნიერო ფონდში კომპაქტ-დისკზე (CD-R) ოფიციალურად წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის მონაცემებს.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში

1. ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს გამოცხადებული ვადების დაცვით. დადგენილი ბოლო ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.
2. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე ნაბეჭდი (ერთ ეგზემპლარად თითოეული) და ელექტრონული სახით (CD-R) (დანართი 8), პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადების ფინანსურ უზრუნველყოფას ანხორციელებს პროექტის წარმომდგენი. პროექტის წარმომდგენი აგრეთვე პასუხისმგებელია საკონკურსო დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი თარგმანის ადეკვატურობაზე. ეროვნული სამეცნიერო ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გაწეულ ხარჯებს.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) თავფურცელი – წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე (დანართი 1);
 - ბ) კრებისთი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი 2);
 - გ) პროექტი (დანართი 3);
 - დ) პროექტის რეზიუმე (დანართი 4)
4. საკონკურსო დოკუმენტაცია ეროვნულ სამეცნიერო ფონდში უნდა წარადგინოს პროექტის მენეჯერმა ან სამეცნიერო ხელმძღვანელმა. (მენეჯერის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის საპატიო მიზეზით არყოფნის შემთხვევაში – პირმა, რომელსაც პროექტის მენეჯერისაგან დელეგირებული აქვს ხელმოწერის უფლებამოსილება).
5. საკონკურსო დოკუმენტაციას ეროვნული სამეცნიერო ფონდი გადაამოწმებს ნუსხის შესაბამისად (დანართი 8). მასში მოცემული ყველა მითხოვნილი დანართის არსებობის შემთხვევაში, საკონკურსო დოკუმენტაციას ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი.
6. კონკურსის დამთავრების შემდგომ ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია ავტორებს არ უბრუნდებათ.

7. პროექტების შეფასება

1. რეგისტრაციაში გატარებული პროექტი შესაფასებლად გადაეცემა დამოუკიდებელ ექსპერტებს.
2. პროექტის შეფასება ხორციელდება ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმებით (დანართი 7).
3. ექსპერტებისაგან მიღებული ქულების საფუძველზე ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამოავლენს პროექტების რანჟირებულ ნუსხას (დადამავალი პრინციპით) რვა სამეცნიერო მიმართულების მიხედვით (დანართი 5) და გადასცემს საბჭოს დასამტკიცებლად.
4. ეროვნული სამეცნიერო ფონდი დასაფინანსებლად გამოვლენილ პროექტებს სამეცნიერო საბჭოს წევრებს აცნობს საბჭოს სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.
5. საბჭოს მიერ დასაფინანსებლად გამოვლენილი პროექტების დამტკიცების შემდეგ, ნებისმიერი პროექტის მენეჯერის და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული სამეცნიერო ფონდი უზრუნველყოფს მათთვის ექსპერტთა დასკვნების გაცნობას.
6. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, ექსპერტთა ვინაობის გამხელა დაუშვებელია პროცესში მონაწილე ყველა მხარის მიერ.

8. საგრანტო ხელშეკრულების პირობები

1. პროექტების დასაფინანსებლად დამტკიცების შემდეგ, ეროვნული სამეცნიერო ფონდი იწყებს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ პროცედურებს (პროექტში შესაძლო ტექნიკური და ფინანსური ნაწილის კორექტირება, გრანტისთვის ინდივიდუალური მიზნობრივი საბანკო ანგარიშის გახსნა და ა.შ.).
2. საგრანტო ხელშეკრულებას ხელს აწერენ ორივე მხარის წარმომადგენლები: ერთის მხრივ – ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი, ხოლო მეორეს მხრივ – წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი და სამეცნიერო ხელმძღვანელი.
3. პროექტის განხორციელება უნდა დაეკვემდებაროს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებს.

- როგორც წამყვანი, ასევე თანამონაწილე ორგანიზაცია ვალდებულია გრანტის პირველადი საბუთების ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს ორგანიზაციის სხვა დოკუმენტაციისგან განცალკევებით, თუმცა, გრანტის სახსრების ხარჯვა უნდა აისახებოდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში.
- თითოეული ტრანშის დამთავრებისას პროექტის მენეჯერი ეროვნულ სამეცნიერო ფონდს წარუდგენს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ტექნიკურ ანგარიშს.
- გრანტის სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვას წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება

- პროექტის მენეჯერს მოეთხოვება ყოველკვარტალურად წარმოადგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ტექნიკური ანგარიში დადგენილი ფორმით, ხოლო საჭიროებისამებრ, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოთხოვნის შესაბამისად, ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი. პროექტის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში.
- ეროვნული სამეცნიერო ფონდი ამოწმებს კვარტალურ ანგარიშს და ადგენს შესაბამის აქტს. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ამ აქტის საფუძველზე, ფონდი ახორციელებს შემდგომი ტრანშით გათვალისწინებული სახსრების გადარიცხვას. თუ შემოწმების დროს გამოვლინდა გამოსწორებადი ხასიათის შეცდომები, გრანტის მიმღებს ეძლევა ანგარიშის კორექტირების საშუალება. თუ გრანტის მიმღების მხრიდან ადგილი აქვს აშკარა არაკეთილსინდისიერებასა და სიყალბეს, მაშინ ეს აქტით დაფიქსირდება და დაისმება პროექტის შემდგომი დაფინანსების შეწყვეტის საკითხი.
- თუ პროექტის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ წელს, ეროვნული სამეცნიერო ფონდი სავალდებულო მონიტორინგს ახორციელებს ადგილზე ერთხელ, პროექტის დასრულებისას. თუ პროექტის ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს, მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ და პროექტის დასრულებისას. ფონდი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მონიტორინგი განახორციელოს ნებისმიერ დროს.
- პროექტის დახურვა ხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასკვნითი სამეცნიერო ანგარიშის, აგრეთვე მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.
- დასრულებული პროექტების დასკვნითი სამეცნიერო ანგარიშები შესაძლოა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სამეცნიერო შეფასებას.

III. საკონკურსოდ წარმოსადგენი ფორმების შერჩევის ინსტრუქცია

(გთხოვთ გაეცნოთ წინამდებარე ინსტრუქციას განაცხადის შევსებამდე)

დანართი 1. თავფურცელი – წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე

1. ჩაწერეთ პროექტის სრული დასახელება.
2. ჩაწერეთ პროექტის სრული ბიუჯეტი ლარებში: თანხა ციფრებით და სიტყვიერად.
3. ჩაწერეთ პროექტის ხანგრძლივობა. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პროექტის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს კვარტლებით 2-იდან 12-ის ჩათვლით.
4. მონაწილე ორგანიზაციები: ჩაწერეთ წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების სრული ოფიციალური დასახელება. თანამონაწილე ორგანიზაციების რაოდენობის შესაბამისად დაამატეთ სტრიქონები.
5. შეავსეთ პროექტის ყველა ძირითადი შემსრულებლის მონაცემები.

დანართი 2. კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

აღნიშნული ინფორმაცია ფონდისთვის ღიაა და შეიძლება გავრცელდეს ყოველგვარი შეზღუდვების

1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

- **სამეცნიერო კვლევის კატეგორია:** ჩაწერეთ კვლევის კატეგორია დანართი 6-ის მიხედვით.
- **სამეცნიერო მიმართულებების/ქვემიმართულებების კოდები:** ჩაწერეთ სამეცნიერო ქვემიმართულებათა ის კოდები, რომელსაც მიეკუთვნება პროექტი დანართი 5-ის მიხედვით (სავალდებულოა მხოლოდ ერთი კოდის ჩაწერა). ამ მუხლის შევსების გარეშე, პროექტი არ განიხილება საკონკურსოდ.
- **პროექტის ბიუჯეტი, ლარი:** შეავსეთ ცხრილი კვარტლების მიხედვით და ბოლო მწკრივში ჩაწერეთ ბიუჯეტის ჯამური თანხა.

2. პროექტის მენეჯერი და 3. სამეცნიერო ხელმძღვანელი

- **საკონტაქტო ინფორმაცია:** მიუთითეთ, თუ რომელ საკონტაქტო ინფორმაციას გამოიყენებთ ფონდთან ურთიერთობისას.

6. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ერთზე მეტ კონკურსში დებულობდა მონაწილეობას, დაამატეთ და შეავსეთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დამფინანსებელი ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია ივსება სურვილისამებრ.

დანართი 3. პროექტი (არაუმეტეს 20 გვერდისა)

1.1 პრობლემის აქტუალობა და კვლევის სიახლე – მიმოიხილეთ განსახილველი პრობლემა, მისი მნიშვნელობა, თქვენი თემის წვლილი ზოგადად დარგში არსებული პრობლემის გადაწყვეტაში; მიმოიხილეთ დარგში არსებული უახლესი მიღწევები ძირითად პუბლიკაციებზე დაყრდნობით და ნათლად გამოყავით თქვენს მიერ საკვლევი პრობლემის აქტუალობა და სიახლე.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები – აღწერეთ პროექტის მიზანი და ამოცანები. პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილი თითოეული ამოცანისათვის წარმოადგინეთ:

- მოკლედ და მკაფიოდ ფორმულირებული ამოცანის აღწერა;
- ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ამოცანის რეალიზებაში;
- მოსალოდნელი შედეგები ამოცანის რეალიზებისგან;
- მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა.

2.1 კვლევის მეთოდის შესაბამისობა პროექტის მიზანსა და ამოცანებთან – აღწერეთ სამეცნიერო და ტექნიკური მიდგომები, აგრეთვე ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროექტის მიზნების მისაღწევად.

2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა მეცნიერების, ეკონომიკის და/ან სოციალური სფეროსათვის – აღწერეთ:

- პროექტის შედეგების უნიკალობა;

- პროექტის შედეგებზე პოტენციური მოთხოვნების/მომხმარებლის არსებობა და პარტნიორობის სისტემა (აღწერეთ მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა მეცნიერების, ეკონომიკის და/ან სოციალური სფეროსათვის. მიუთითეთ თქვენი პროექტის შედეგების პოტენციური მომხმარებელი);
- აღწერეთ თითოეული მოსალოდნელი შედეგის წვლილი პროექტის საერთო მიზნის შესრულებაში, აგრეთვე მოსალოდნელი შედეგების ურთიერთკავშირი. თუ პროექტში ჩართულია რამდენიმე ორგანიზაცია, მიუთითეთ მათი მონაწილეობის წვლილი მის რეალიზებაში. საჭიროებისამებრ წარმოადგინეთ ბლოკ-სქემები, გრაფიკები და დიაგრამები.

3.1. და 3.3. შეავსეთ ცხრილი მოცემული ფორმით პროექტის ყველა შემსრულებელზე.

3.2. შეავსეთ მოცემული თანმიმდევრობისა და ფორმის მიხედვით პროექტის ძირითად შემსრულებელთა პროფესიული ავტობიოგრაფია.

4.1 პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა – გრაფიკულად წარმოადგინეთ პროექტში მონაწილე პერსონალის ადმინისტრაციული/ფუნქციური დაქვემდებარების სქემა.

4.2 პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – თითოეული ამოცანის მიხედვით მიუთითეთ ადგილი და ფართი, სადაც შესრულდება პროექტი. ჩამოთვალეთ აგრეთვე კონკრეტული დანადგარები, მოწყობილობები, სხვა ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც გამოიყენებთ პროექტზე სამუშაოდ. საჭიროების შემთხვევაში დაასაბუთეთ ნებისმიერი დანადგარის, მოწყობილობის, ან სხვა ტექნიკის მოდერნიზაციის, ან ახლის შეძენის აუცილებლობა. მითითებული შენობები, დანადგარები, მოწყობილობები და სხვა ტექნიკური საშუალებები მისაწვდომი უნდა იყოს მონიტორინგისათვის

4.3 უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე – მიუთითეთ, შესაძლებელია თუ არა პროექტის მსვლელობის პროცესში წარმოიშვას რაიმე კონფიდენციალური ინფორმაცია და რა სპეციალური ზომები გაქვთ შემუშავებული ამ ინფორმაციის/ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე პროექტის მიმდინარეობის, ან დასრულების შემდგომ. მაგალითად გამოქვეყნება, დაპატენტება, ლიცენზირება, დეპონირება და ა.შ. ჩამოთვალეთ მოქმედი პატენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის შედეგების გამოყენებას

4.4 პროექტის ბიუჯეტი – გთხოვთ დაიცვათ ძირითადი ფორმა ხარჯვის შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- **ინდივიდუალურ მონაწილეთა შრომის ანაზღაურება** – შრომის ანაზღაურება ითვალისწინებს: **ა) ძირითადი პერსონალის ხელფასს** და **ბ) დამხმარე პერსონალის ხელფასს**. პროექტში მონაწილე ფიზიკური პირის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს თვეში. **ეს მუხლი გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ წამყვანი ორგანიზაციის ბიუჯეტში.**
- **მივლინებები** – აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს: **ა) ქვეყნის შიგნით სამივლინებო ხარჯებსა** და **ბ) ქვეყნის გარეთ სამივლინებო ხარჯებს**. სამივლინებო ხარჯები შედგება: სამგზავრო ბილეთის საფასურის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, ვიზის, დაზღვევის, სადღეღამისო ხარჯებისგან და განსაზღვრულია “დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული მუხლით არ ფინანსდება: ექსპედიცია და სხვადასხვა სამუშაოები, საწვავის შეძენის, კონფერენციის სარეგისტრაციო გადასახადის ხარჯები. **ეს მუხლი გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ წამყვანი ორგანიზაციის ბიუჯეტში.**
- **სხვა საქონელი და მომსახურება** – აღნიშნული მუხლით ფინანსდება საკანცელარიო საქონლის, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, პერიოდული ლიტერატურის შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები, 150 ლარამდე ღირებული ან/და 1 წლამდე საექსპლუატაციო ვადის მქონე საოფისე ტექნიკის, ინვენტარის და მოწყობილობების შეძენა-დამონტაჟების, სანიტარულ-ჰიგიენური საგნების შეძენა, შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯები, ქვეყნის შიგნით საკვლევი მასალების მოძიებასთან დაკავშირებული მივლინებისათვის (მაგ. ექსპედიცია) მობილური კავშირგაბმულობის ხარჯი, საწვავის შეძენის ხარჯი, საფოსტო ხარჯი, ინტერნეტით სარგებლობის ხარჯი, საცდელი ცხოველების შეძენა/შენახვის ხარჯი, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯები, საცდელი მაკეტებისა და ლაბორატორიული სტენდების, რეაქტივების, ქიმიკატების, ქაღალდის, ჭურჭლის, მედიკამენტების და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენის, აგრეთვე სამეცნიერო შრომების გამოცემის, სესიების, კონფერენციების, სემინარების, გამოფენებისა და ექსპედიციის ხარჯები; ინფორმატიკული პროგრამების შეძენის, ასევე სხვადასხვა პირობებში შესრულებული სამუშაოების ხარჯები. **ეს მუხლი გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც წამყვანი ორგანიზაციის, ასევე თანამონაწილე ორგანიზაციის ბიუჯეტში.**

- **კაპიტალური ხარჯები** – აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს: **ა) კაპიტალური შეძენის ხარჯებს:** იმ მანქანა-დანადგარების, საოფისე ტექნიკის: კომპიუტერების (სტაციონარული კომპიუტერის კომპლექტი შედგება მონიტორის, პროცესორის, კლავიატურისა და მაუსისგან), ასლის გადაბეჭდვის აპარატურის, პრინტერის, ა.შ., სხვა სამეცნიერო მოწყობილობების, კვლევისთვის აუცილებელი ფოტო, ვიდეო და სხვა ციფრული ტექნიკის (მობილური აპარატების შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ფასი არ უნდა აღემატებოდეს 250 ლარს) და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლუატაციო ვადა აღემატება 1 წელს ან/და რომელთა ღირებულებაც აღემატება 150 ლარს. **ბ) კაპიტალური რემონტის ხარჯებს** (ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ფონდების, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართის, მანქანა-დანადგარების აღდგენის ღირებულების ხარჯებს). **ეს მუხლი შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს როგორც წამყვანი ორგანიზაციის, ასევე თანამონაწილე ორგანიზაციის ბიუჯეტში.**
- **სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები (ზედნაღები ხარჯები)** – პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან 10%. მისი დაცვა სავალდებულოა კონკურსში წარდგენილი ყველა პროექტისათვის. **ამ თანხას განკარგავს წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაცია პროექტის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის მიზნით.** ზედნაღები ხარჯებიდან ფინანსდება პროექტის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წამყვანი, ასევე თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ გაწეული კომუნალური (სატელეფონო მომსახურების, ელექტროენერჯის, წყალმომარაგების, გათბობის) დანახარჯები, გრანტით შეძენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირებასა და ინვენტარიზებაზე, შენობა-ნაგებობების დაცვასა და მოვლა-დასუფთავებაზე გაწეული (მ.შ. შრომითი) დანახარჯები, ოფისის (გრანტის საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ბლანკების, საკანცელარიო ნივთებისა და სხვ.) ხარჯები, ტექნიკური და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ბანკის მომსახურების ხარჯები, აგრეთვე ადმინისტრაციული მომსახურებისთვის გაწეული შრომითი დანახარჯები (ბუღალტრის ხელფასი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს ორგანიზაციის ხელმძღვანელი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით).

- გრანტის სახსრებით დაუშვებელია შემდეგი კაპიტალური ხარჯების გაწევა: ავტომანქანის შეძენა, შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა.

დანართი 4. პროექტის რეზიუმე – სატიტულე მონაცემების შევსების შემდეგ წარმოადგინეთ პროექტის რეზიუმე არაუმეტეს 2 გვერდისა. აღნიშნული ინფორმაცია ფონდისთვის ღიაა და შეიძლება გავრცელდეს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

მოთხოვნები საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში წარმოსადგენად

განაცხადის სწრაფი დამუშავებისა და ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე მისი უპრობლემო განთავსებისათვის რეკომენდებულია დაიცვათ ქვემოთ ჩამოთვლილი წესები:

1. საკონკურსო პროექტის ელექტრონული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ დისკზე (CD-R-ზე) ხუთ დამოუკიდებელ MS Word-ის ფაილად ქვემოთმოცემული ცხრილის შესაბამისად:

| წარმოსადგენი ინფორმაციის დასახელება | ფაილის სახელი | |
|---------------------------------------|------------------------|------------------------|
| | ქართული | ინგლისური |
| კრებებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ | XXXXXX Sum Geo.doc | - |
| პროექტი | XXXXXX Project Geo.doc | XXXXXX Project Eng.doc |
| პროექტის რეზიუმე | XXXXXX Resume Geo.doc | XXXXXX ResumeEng .doc |

- სადაც **XXXXXX** - პროექტის მენეჯერის გვარია.
2. წარმოსადგენი ქართული და ინგლისური ფაილების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს **2,0 MB**;
3. დოკუმენტი ელექტრონულად აიწყო **A4** ფორმატის ფურცლის ზომებში შემდეგი მოთხოვნების დაცვით: გვერდის მარცხენა მხარეს დატოვებულ **2.5 სმ** სივანის მინდორი, მარჯვენა, ზედა და ქვედა

მხარეს - **1.5 სმ.** ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი **1,0 (Single)**, სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის და სხვა მსგავს სიტუაციებში დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი;

4. საგაღმწეო დოკუმენტის ქართული ვერსიის ტექსტურ ნაწილში **AcadNusx**-ის, ხოლო ინგლისურში - **Times New Roman**-ის **Nº11** ფონტის გამოყენება. თავების, ქვეთავების, ცხრილების და ტექსტის სხვა შემადგენელი ნაწილების სათაურებში დასაშვებია უფრო მაღალი ფონტების გამოყენება;
5. ცხრილებში რიცხვების შეტანისას გამოიყენეთ ათობითი წერტილი და არა მძიმე (მაგალითად, **12700.5**); ციფრების შეტანისას არ გამოიყენოთ შრიფტი **Symbol**. დაუშვებელია ერთი ცხრილის შიგნით მეორე ცხრილის შექმნა;
6. ერიდეთ ფერად სურათებს და ზედმეტად გადატვირთულ ნახატებს, ასევე **MS Word**-ის ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა: **footnotes, endnotes, bookmarks, references** და სხვ.

თავფურცელი – წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე

1. პროექტის დასახელება: _____

2. პროექტის ბიუჯეტი (ლარი): _____
ციფრებით სიტყვიერად

3. პროექტის ხანგრძლივობა: _____ კვარტალი

4. მონაწილე ორგანიზაციები

ა)

